ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2020/01/1

თბილისი 8 იანვარი 2020 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, ს[1] ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძნებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად:

ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით დოიაშვილის სახით სახით (შემდგომში ”შემსყიდველი”),

და მეორეს მხრივ,

შპს „ვი თი ჯგუფი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან გოგიას სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”),

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **მიკროავტობუსით სატრანსპორტო მომსახურების** შესყიდვაზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შემდეგ თანხაზე **400 (ოთხასი)** ლარი, შემდგომში “ხელშეკრულების ღირებულება”.

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

2.3. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ “ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს შემსყიდველს **სატრანსპორტო მომსახურება,** (შემდგომში ”მომსახურება”), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **60170000**.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევა განახორციელოს 2020 წლის 9 იანვარს თბილისი - ოზურგეთი - თბილისის მიმართულებით.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში თეატრის საკუთარი სახსრებიდან.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან , **10 სამუშაო დღის განმავლობაში,** ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

7.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

7.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

7.1.3. 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

7.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

7.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

7.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

8.2.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

”შემსყიდველი”
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის
პროფესიული სახელმწიფო თეატრი

”მიმწოდებელი”
შპს „ვი თი ჯგუფი“

_____
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
დავით დოიაშვილი

_____
ლევან გოგია
დირექტორი

თბილისი 8 იანვარი 2020 წელი

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 15 თებერვლამდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის
პროფესიული სახელმწიფო თეატრი
საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ - 201948928
იურიდიული მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 127

Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre
Digitally signed by Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre
Date: 2020.01.08 13:56:58 +04'00'

"მიმწოდებელი"
შპს „ვი თი ჯგუფი"
ტელ: 599 31-18-18; 599-31-19-19; 577-17-15-15
ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი
ა/ა № GE72BG0000000212860000
საიდენტიფიკაციო კოდი: 205143824
იურიდიული მის: ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. 6

"შემსყიდველი"
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის
პროფესიული სახელმწიფო თეატრი

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
დავით დოიაშვილი

"მიმწოდებელი"
შპს „ვი თი ჯგუფი"

WT Group Ltd
Digitally signed by WT Group Ltd
Date: 2020.01.08 13:53:00 +04'00'

ლევან გოგია
დირექტორი